ქართველ ქალთა საკითხი ლიდია მეგრელიძის პერსპექტივიდან

(პასუხი კონსტანტინე კაპანელის ფილოსოფიურ ნაშრომზე)

მარიამ ჭანჭალეიშვილი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია მწერალთა სახლში წაკითხული ლიდია მეგრელიძის მოხსენება, რომელიც ეხება კონსტანტინე კაპანელის წიგნს "სული და იდეა". ამ მოხსენების ანალიზი და მის კვალდაკვალ კონსტანტინე კაპანელის წიგნთან მიბრუნება, საშუალებას გვაძლევს, დავინახოთ, აქამდე როგორც საბავშვო მწერლად ცნობილი, ქალი ავტორის საკმაოდ მწვავე კრიტიკა, რომელიც გავლენიანი ფილოსოფოსი კაცისკენაა მიმართული. კაპანელი ქართველ ქალებს ადანაშაულებდა, რომ მათ აღარ აქვთ სიყვარული და ვნება, დედობრივი სინაზე, ქალურობა, ოჯახისადმი პატივისცემა. იგი ქართველ ქალთა დახასიათებით აღწერდა ქვეყნის უკეთურობებს. ლიდია მეგრელიძე კი მიჰყვება კაპანელის აზრთა ჯაჭვს და გამოხატავს უკმაყოფილებას ქალთა ასეთი დემონიზების გამო - ლიდია საუბრობს სოციალური კლასის და კონტექსტის გათვალისწინების აუცილებლობაზე ქალებზე საუბრისას; იგი კითხვის ქვეშ სვამს კაპანელის მიერ აღქმულ ოჯახს - მის მიხედვით, ოჯახი არაა ურყევი, იგი იცვლება და მისი ხასიათი მუდმივად უნდა იყოს განსჯის საგანი; ლიდია ეხება ქართველი ქალის სექსუალობასა და ინდივიდუალობას.

ლიდიას კრიტიკა მნიშვნელოვანია არამხოლოდ მისი მკაფიო პროტესტის გამო, რომელიც ქალთა მდგომარეობის და საკითხის შეუსაბამოდ წარმოჩენას შეეხება, არამედ იმ არგუმენტაციის გამო, რომლის ირგვლივაც იგი აგებს თავის მოხსენებას. მოხსენება ლიდიას ფემინისტური ხედვაა. რეალურად, ამ მოხსენების საშუალებით, რომელიც ლიდიას ხელნაწერის სახითაა შენახული გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში და რომელსაც მიწერილი აქვს “ქალთა საკითხს ეხება”, გაისმა აქამდე გაუუღერებელი ფემინისტი ავტორის ხმა, რომელიც პატრიარქალური აზროვნების წინააღმდეგ გამოდის და არ ეპუება ავტორიტეტებს.

საკვანძო სიტყვები: ქალთა ისტორია, ფემინიზმი, ოჯახი, დედობა, სექსუალობა, სიყვარული, სოციალური კლასი, მუშათა კლასი, სოციალური კლასი, კერძო საკუთრება.

*

ლიდია მეგრელიძის საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების წიგნის პოვნის შემდეგ, წინასიტყვაობის კითხვას ვიწყებ. უკვე წაკითხული მაქვს მისი გაზეთ "ახალ კვალში" გამოქვეყნებული წერილები (მეგრელიძე, 1915) და მწერალთა სახლში წაკითხული მოხსენება (თარიღი უცნობია). მაინტერესებს, რას წერენ მასზე, როგორ ახასიათებენ მის მწერლურ ღირსებებს. ეგებ რამე ითქვას მის განსაკუთრებულ ხედვაზე, რომელიც ქალთა უფლებრივ მდგომარეობას შეეხებოდა. იქნებ ისიც იყოს ნახსენები,რომ არ ეპუებოდა ავტორიტეტებს და თამამად შეეძლო დინების საწინააღმდეგო მხარეს ცურვა.

წინასიტყვაობა ლიდიას დიდ და უჩინარ ღვაწლზე ყვება. ყვება მის განსაკუთრებულ სიყვარულზე ბავშვების მიმართ, რასაც წინასიტყვაობის ავტორი, ლიდიას დედობრივ ინსტიქტებს უკავშირებს (მეგრელიძე, 1968, გვ.5). წინასიტყვაობა ასევე ყვება იმ შესანიშნავ მოთხრობებზე, რომლებიც მოზრდილებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა რომანადაც ვერ მიიჩნევა ნაწერების ფრაგმენტულობის გამო და ამიტომაც, ქრონიკებად იწოდებოდეს, უკეთესია. (მეგრელიძე, 1968, გვ.9).

სტატიაზე მუშაობას სწორედ ამ პატარა დაკვირვებით ვიწყებ. შემდეგ უფრო მიადვილდება დავარქვა სახელი ლიდიას, როგორც ფემინისტი მოაზროვნის მივიწყებასა და გაუჩინარებას.

I.

სტატია შეეხება ლიდია მეგრელიძის მოხსენებას კონსტანტინე კაპანელის წიგნის "სული და იდეის" მისამართით (1923), რომელიც წაკითხულ იქნა მწერალთა სახლში და აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, რადგან ეწინააღმდეგება ფილოსოფოსი მამაკაცის იდეებს, მოსაზრებებს და საზოგადოებრივად მოწონებულ, აღიარებულ აზრს (კოდუა (რედ), 1989, გვ. 371-376). ჩემი მიზანია მკითხველს შევთავაზო, როგორც ლიდია მეგრელიძის ფემინისტური ხედვა, პერსპექტივა, რომლიდანაც იგი კაპანელს აკრიტიკებს, ასევე, ზოგადად, წარმოვაჩინო ქალის პროტესტი ქალთა დემონიზებისა და მათი წვლილის დაკნინების მცდელობების წინააღმდეგ. მინდა ვისაუბრო იმ ხმაზე, რომელიც ლიდია მეგრელიძეს ეკუთვნის და რომლის გაჟღერებაც აუცილებელია ქალთა უფლებებისთვის ბრძოლისთვის. ეს ხმა სჭირდებათ ქართველ ქალებს (და არა მხოლოდ). მიუხედავად იმისა, რომ ლიდიას ხმა წარსულიდანაა, იგი ახლაც არ კარგავს მნიშვნელობასა და სიმძაფრეს. ლიდია მეგრელიძის შესახებ საუბარი კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ქალები არსებობენ იმ ისტორიულ წარსულში, სადაც მთავარ სუბიექტებად, მეტწილად, მებრძოლი, მოაზროვნე, საქმოსანი მამაკაცები გვევლინებიან.

ქალთა ისტორიის კვლევა აუცილებელია, რადგან ცოდნა, რომელიც ქალების შესახებ არსებობს, მცირე და ფრაგმენტულია. სწორედ ამიტომ ჩნდება გენდერი, როგორც ისტორიული ანალიზის კატეგორია ისტორიულ კვლევებში (სკოტი, 1986). ეს იყო ბიძგი, რომ ქალთა დაკარგულ ხმებს ისევ ეთამაშათ საკუთარი როლი. ცხადია, იმ ფაქტმა, რომ ქალებმა არაფერი იცოდნენ/იციან ქალთა ისტორიის შესახებ, უარყოფითად იმოქმედა მათ ცხოვრებაზე. როდესაც არაფერი იცი იმ ქალების შესახებ, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ცოდნის შექმნასა და ჩამოყალიბებაში, ეს შეიძლება ერთგვარ ბარიერად იქცეს, რომ იყო თავდაჯერებული

(ლერნერი, 1994, გვ.12). ლიდია მეგრელიძე სწორედ ის ქალია, რომელსაც შეუძლია სხვა ქალების გაძლიერება, წაქეზება და ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისთვის განწყობა.

II. ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები

ლიდია მეგრელიძე (დაოჯახებამდე მამულაიშვილი) დაიბადა 1883 წელს გურიაში, ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში. ლიდიას ბავშვობის წლებში ოჯახს მოუწია სოფლის დატოვება და ოზურგეთში გადასვლა საცხოვრებლად, სადაც ქალთა სასწავლებელში მიაბარეს. 12 წლის იყო ლიდია, როცა დედა გარდაეცვალა. დედის გარდაცვალების შემდეგ მამა მას დეიდასთან აგზავნის სოფელ აკეთში ჭრა-კერვის შესასწავლად (მეგრელიძე, 1968, გვ. 6). ლიდია გაღარიბებული აზნაურების ოჯახში გაიზარდა. როგორც თვითონ აღნიშნავს საკუთარ ავტობიოგრაფიაში, მას არ იზიდავდა ცხოვრების ის წესი, რომელსაც მისდევდნენ მაშინდელი თავადაზნაურები. არ შეეძლო უქმად ყოფნა და სხვაგვარად სურდა საკუთარი ცხოვრების წარმართვა (მეგრელიძე, 1956). 17 წლის ლიდია ბრუნდება ოზურგეთში და ოზურგეთის აქტიური ახალგაზრდების წრეში იწყებს ტრიალს. დაქორწინების შემდეგ იგი ფოთში გადადის საცხოვრებლად. იქ უახლოვდება პორტის მუშებს და მათგან იგებს ინფორმაციას იმ პირობების შესახებ, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება. ლიდია 1905 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ხდება. იგი თავისი საქმიანობის პარალელურად ცდილობს, რომ გაიფართოვოს ცოდნა და თავად მიიღოს ის განათლება, რომლის მიღების საშუალებაც არ მიეცა. იგი ფოთშივე აარსებს "ფოთის ქალთა საზოგადოებას". ამ საზოგადოების საქმიანობას კი უკავშირებს საკვირაო სკოლისა და საღამოს კურსების გახსნას, რომლებიც წერა-კითხვის სწავლებას ისახავს მიზნად (მეგრელიძე, 1968, გვ. 6). ლიდია 1910 წლიდან ერთვება ლიტერატურულ საქმიანობაში. იგი საბავშვო მოთხრობებსა და ლექსებს წერს ჟურნალებისთვის. უფრო მოგვიანებით მისი რამდენიმე კრებულიც იბეჭდება. მეგრელიძის ლექსები და მოთხრობები საკმაოდ ცნობილი ხდება ფართო საზოგადოებისთვის და სასკოლო წიგნებშიც ჩნდება.

ლიდია თავისი წერილებით ეხმაურებოდა პოლიტიკურ ცხოვრებას და დიდ ყურადღებას უთმობდა რევოლუციური მოძრაობის მაჯისცემას. განსაკუთრებული შემართებით წერდა მუშა ქალთა მდგომარეობაზე, მათ უფლებებსა და ყოფაზე (მეგრელიძე, 1956). 1918 წლიდან ლიდია თავის ოჯახთან ერთად თბილისში გადადის საცხოვრებლად. იგი თბილისშიც განაგრძობს საქმიანობას, ხდება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრი და გამოსცემს კრებულებს (მეგრელიძე, 1968, გვ.6).

ლიდია თავისი მოღვაწეობის პერიოდში სხვადასხვა ფსევდონიმს იყენებდა. მისი წერილები და კორესპონდენციები ხშირად სწორედ ფსევდონიმებით იბეჭდებოდა. იგი თავის ბიოგრაფიაში ოთხ ასეთ ფსევდონიმს გამოყოფს: დასელი ქალი, ნამცეცა, ნაზისი, ნარცისი (მეგრელიძე, 1956). თუმცა, კრებულში "ალიონის ვარსკვლავი" ნახსენებია ლიდიას სხვა ფსევდონიმიც, კერძოდ, "მიმქრალი", რომელსაც იგი იყენებდა საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების გამოქვეყნებისას (მეგრელიძე, 1968, გვ.6).

კონსტანტინე კაპანელის ნამდვილი გვარი ჭანტურიაა. იგი 1889 წელს დაიბადა სოფელ კაპანაში და, სავარაუდოდ, სწორედ წარმომავლობას უკავშირდება მისი ფსევდონიმიც. მან დაწყებითი განათლება სოფელში მიიღო, შემდეგ სწავლა ფოთის საქალაქო სასწავლებელში გააგრძელა. უნივერსიტეტი საფრანგეთში დაამთავრა, მუშაობდა ლუვრში, ესწრებოდა ლექციებს და აქტიურად იყო ჩართული საგანმანათლებლო აქტივობებში. საფრანგეთშივე მიიღო დოქტორანტის წოდება სიტყვიერების ფაკულტეტზე და საშუალება მიეცა, რომ იქვე წარედგინა საკუთარი დისერტაცია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი ლიტერატურულ საქმიანობას აგრძელებს, აქვეყნებს სტატიებს და იწყებს მუშაობას პედაგოგად. 1925-1932 წლებში კონსტანტინე კაპანელი კითხულობს ხელოვნების ისტორიისა და ქართული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს თბილისის კონსერვატორიაში. 1931 წლიდან 1949 წლამდე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს კათედრას. კითხულობს ლექციებს, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე თეატრალურ ინსტიტუტსა და ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1932 წელს მას ენიჭება დოცენტის წოდება (კოდუა, 1989, გვ.14-15).

III. ისტორიული კონტექსტი

რადგანაც ლიდია მეგრელიძე და კონსტანტინე კაპანელი მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდნენ, აუცილებელია მოკლედ შევეხოთ იმ მოვლენებს, რომელთაც განაპირობეს სოციალური, კულტურული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ტრანსფორმაციები მათი მოღვაწეობის პერიოდში.

პეტერბურგის ე.წ. "სისხლიანი კვირის" შემდეგ, როდესაც მთავრობის ჯარები აჯანყებულ მუშებს ძალადობრივად გაუსწორდნენ, ხალხმა აქტიურად დაიწყო მთავრობის დამხობის მოთხოვნით გამოსვლა. 1905 წლის 9 იანვარი რევოლუციის საწყის წერტილად მიიჩნევა. 1905-1907 წლები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციური ბრძოლის პერიოდია საქართველოშიც. რევოლუცია აქ 1905 წლის დასაწყისიდანვე იკრებდა ძალებს. განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენდა გურიის გლეხობა. გურულმა გლეხებმა ერთგვარი მანიფესტიც კი წარუდგინეს ქუთაისის გუბერნატორს, სადაც მკაფიოდ ჰქონდათ ჩამოყალიბებული, თუ რას მოითხოვდნენ. მოლაპარაკებებს შედეგი არ მოჰყვა, თუმცა, შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ გლეხთა მაღალი აქტივობა, საზოგადოებრივი მობილიზება და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის ფაქტი (სურგულაძე, გვ. 143-145).

რევოლუციური მოძრაობა ძალებს იკრებდა, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, წოდებრივი უთანასწორობის აღმოფხვრის, ქართული სკოლების გახსნის, გაფიცვის თავისუფლების და ა.შ. მოთხოვნით. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომელიც მიზნად ისახავდა კომპრომისზე წასვლას და ხალხის ამბოხის ჩაწყნარებას, საქართველო არ შეხვდა ნდობით. რეპრესიები გრძელდებოდა და ამას მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირებოდა. რევოლუციამ თავისი დუღილის უმაღლეს ფაზას დეკემბერში მიაღწია, 1906 წლიდან კი უკან დახევა დაიწყო. 1907 წლის ივნისისთვის მთავრობამ შეძლო რევოლუციის დამარცხება. (სურგულაძე, გვ.146-147)

ამ პერიოდისთვის საქართველოში განსაკუთრებული გავლენით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. მათ სხვადასხვა ქალაქში ჩამოაყალიბეს კომიტეტები, რომელთა საშუალებით კავშირს ამყარებდნენ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობასთან. გლეხები სოფლებშივე ქმნიდნენ კომიტეტებს და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებს ითავსებდნენ. სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის იდეა მიმზიდველი აღმოჩნდა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის. რევოლუციურ მოძრაობებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც ახალგზარდები, მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები და სხვადასხვა დარგის მუშაკები. მასწავლებლები კარგად აცნობიერებდნენ ეროვნულ პრობლემას, თუნდაც იმის გამო, რომ სწავლება სკოლებში ქართულ ენაზე არ მიმდინარეობდა. რევოლუციის იდეებს იზიარებდნენ ქართველი მწერლებიც - ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, მარიამ დემურია, ლეო ქიაჩელი. რევოლუციური სულისკვეთება მათ ნაწარმოებებშიც კარგად ჩანს (სურგულაძე, გვ.156-158).

1907 წლიდან იწყება რეაქციის წლები. ის ადამიანები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი რევოლუციაში, მუდმივი დევნისა და შიშის ქვეშ იმყოფებოდნენ. 1917 წლის თებერვლის რევოლუცია კი გარდამტეხი მოვლენა გახდა მთელი ამიერკავკასიისთვის. 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობა კი საქართველოსთვის დიდი გამოწვევა აღმოჩნდა, რამაც თავისთავად დიდი გავლენა მოახდინა მთლიანად ქართულ საზოგადოებასა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ აიღო მმართველობის სადავეები, რაც ნიშნავს იმას, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თავისი ყურადღება დამოუკიდებლობის დაბრუნებისკენ მიმართა (სურგულაძე, გვ. 232-233).

მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალის როლსა და ფუნქციაზე საუბრებს საქართველოში. პუბლიკაციები ეძღვნება ისეთ თემებს, რომლებიც ხაზს უსვამს ქალის, როგორც ოჯახზე მზრუნველის, სამაგალითო დედის და ეროვნული სიწმინდეების მცველის მნიშვნელობას. ეროვნული სულისკვეთება და ქვეყნის გაძლიერებაზე ფიქრი განაპირობებს იმას, რომ ქალთა აქტივობა მისაღები ხდება საზოგადოებისათვის (ხომერიკი და ჯავახიშვილი, 2005, გვ. 7-8). ამ პერიოდისათვის ქალები ერთვებიან სამოქალაქო საქმიანობებში, აარსებენ საზოგადოებებს და ღიად საუბრობენ იმ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც დგანან. საზოგადო მოღვაწეები ქალთა საკითხზე გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს, რაც ხშირად საჯარო განხილვის საგანი ხდება (ხომერიკი და ჯავახიშვილი, 2005, გვ.8-9). იდეა ქალთა გათავისუფლების შესახებ ფართოდ ვრცელდება. მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელთაც ქალები ორიენტირად იღებენ ქალთა ემანსიპაციისთვის ბრძოლაში, არის ქალთა განათლება, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მშობლიურ ენაზე ფუნქციონირებადი სკოლების დაარსება, საბავშვო ლიტერატურის განვითარება (ხომერიკი და ჯავახიშვილი, 2005, გვ. 10). სწორედ ამ მიზნით დაარსა ანასტასია თუმანიშვილმა 1890 წელს ჟურნალი "ჯეჯილი", მარიამ დემურიას თაოსნობით კი 1904 წელს გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი "ნაკადული". ქალთა გააქტიურებასა და მათ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობაზე საუბრობს ნინო ტყეშელაშვილი თავის წერილში და იმასაც კი ახსენებს, რომ მათ კრებებსა და შეხვედრებს ბევრი სკეპტიკურადაც კი უყურებდა. კრებებზე განიხილებოდა

ისეთი საკითხები, როგორიცაა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, პროსტიტუცია და ა.შ. (ტყეშელაშვილი, 1932). ქალთა საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობის მაგალითია კატო მიქელაძის მიერ 1917 წელს გამოცემული გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ (მელაშვილი, 2013, გვ.15). ეს გაზეთი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით ქართველი ქალები იმაღლებდნენ ხმას და საუბრობდნენ ქალთა მდგომარეობაზე. სწორედ „ხმა ქართველი ქალისა“ არის შეუგუებლობისა და ბრძოლის ნათელი მაგალითი.

IV. „სული და იდეა“ და „ქართველი ქალი ცხოვრებასა და ლიტერატურაში“

კონსტანტინე კაპანელის მოსაზრებების ლიდიასეულ კრიტიკას სანამ შევეხებით, აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ წიგნი „სული და იდეა“, რომელსაც მოხსენება ეყრდნობა. კონსტანტინე კაპანელი თავის წიგნში "სული და იდეა", რომელიც 1923 წელს გამოიცა, ერთ-ერთ თავს უთმობს "ქართული კულტურის სულს". წიგნის ეს თავი სამ ქვეთავს შეიცავს - ბრძოლის კულტი, ქალი და სიყვარული და ქართული ტიპი (კაპანელი, 1923).

კონსტანტინე კაპანელის ნაშრომი ფილოსოფიურია და კაპანელის მსოფლმხედველობას ასახავს. კაპანელის მსოფლმხედველობაში კი ქალის დახასიათებას და მის ირგვლივ არსებულ პრომლემატიკაზე საუბარს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ქართველი ქალია ის, ვინც განსაზღვრავს საზოგადოების მოძრაობას, განვითარებას და, ზოგადად, მის ტიპს. ლიდია მეგრელიძის კრიტიკა, სწორედ "ქართული კულტურის სულს" მიემართება. ლიდია თავის მოხსენებაში გვთავაზობს კაპანელის ტექსტის პერიფრაზს, თუმცა, ნაშრომის მთლიანობისთვის აუცილებელია, კაპანელის ის ხედვა და წარმოდგენები გამოვკვეთოთ, რაც პირველად ტექსტში გვხვდება.

კონსტანტინე კაპანელის "ფილოსოფიური შრომების" კრებულში, რომელიც ედუარდ კოდუას რედაქტორობით გამოიცა 1989 წელს, შესულია "სული და იდეა", თუმცა წინასიტყვაობაში არაფერი წერია, რომ იგი არასრულად, რომელიმე თავის გამოკლებით არის დაბეჭდილი. მეოთხე თავი, რომელიც უშუალოდ ქართულ კულტურას ეხება და ახასიათებს ქართველ ქალს და ზოგადად, თანამედროვე ქართველობას, 1989 წლის გამოცემაში არ გვხვდება. ედუარდ კოდუა წიგნის ბოლოს წერს იმ გამოხმაურებაზე, რომელიც "სული და იდეას" გარშემო იყო. მას მოყვანილი აქვს ამონარიდები სტატიებიდან, რომლებშიც იწონებენ კაპანელის მსოფლმხედველობას და აღნიშნავენ, რომ ასეთი ინტერესი ჯერ არცერთ ტექსტს არ დაუმსახურებია (1989, გვ. 371-376). გამოხმაურებები, რომელსაც კოდუა გვთავაზობს, სწორედ ბოლო თავს მიემართება. როგორც ჩანს, საზოგადოებამ იგი უფრო აიტაცა და ყურადღება გაამახვილა, რადგან კაპანელი ამხელს ქართული საზოგადოების ნაკლოვანებებს.

ლიდია მეგრელიძის მოხსენება, რომელიც მან მწერალთა სახლში წაიკითხა, ინახება თბილისის გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. მოხსენება ლიდიას ხელნაწერის სახითაა შენარჩუნებული და იქვე გვხვდება წარწერა სხვა ფერის კალმით - „ქალთა საკითხს ეხება“. მოხსენება დასათაურებულია შემდეგნაირად - "ქართველი ქალი ცხოვრებასა და ლიტერატურაში" (მეგრელიძე, უთარიღო).

ლიდია თავიდანვე აფრთხილებს მსმენელს (მკითხველს), რომ იგი არ გაამართლებს ქალს (მეგრელიძე, უთარიღო, გვ.5). ეს უკვე მნიშვნელოვანი ფემინისტური განაცხადიცაა, რადგან არ იყო თავდაცვით პოზიციაში და ისე ახერხებდე სათქმელის გადმოცემას, პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. ლიდია ამბობს, რომ მისი მიზანი არაა, რომ ხელი დააფაროს ქართველ ქალს, უბრალოდ, როგორც კაპანელზე ამბობს:

"ამ დიდკაცების „დიდ თქმას“ ჭეშმარიტებით ვერ მივიღებთ."

ლიდიას გაცნობიერებული აქვს ის, რომ იგი იმ მამაკაცის წინააღმდეგ გამოდის, რომლის "დიდ თქმას" საზოგადოებაში განსაკუთრებული გულისყურით ისმენენ. ლიდია მიიჩნევს, რომ კაპანელს კარგად შეუძლია ფილოსოფიური ენით საუბარი, აზრის გადმოცემა. თუმცა, მისთვის სიტყვები არაფერია, თუ არ არსებობს ფაქტები (მეგრელიძე, უთარიღო, გვ. 2).

ლიდია მეგრელიძეს, კაპანელისგან განსხვავებით, ქალებზე საუბრისას შემოაქვს წოდებრივი კლასის მიხედვით საზოგადოების დაყოფის საკითხი. ეს ერთგვარი წინასწარდაშვებაა ლიდიასათვის, რისი ყურადღების მიღმა დატოვებაც შეცდომა იქნებოდა. მისი თქმით, წარჩინებული წოდების ქალები და გლეხის ქალები თავისივე კლასის მიხედვით აზროვნებენ და ცხოვრობენ და ამ ორის ერთმანეთში არევა დაუშვებელია (მეგრელიძე, უთარიღო, გვ.3).

შემდეგ ქვეთავებში „ბრძოლის და ქალის კულტი საქართველოში“, „ქართველი ქალი და ოჯახი“, „ქართველი ქალის სექსუალობა და ინდივიდუალობა“ და „ქართველი ქალი და საქართველო“ განხილული იქნება კონსტანტინე კაპანელის მოსაზრებები და ამ მოსაზრებების წინააღმდეგ მიმართული ლიდიასეული არგუმენტირებული მსჯელობა.

ბრძოლის და ქალის კულტი საქართველოში

კონსტანტინე კაპანელი საუბრობს ბრძოლის კულტზე საქართველოში, რომელმაც საომარ მოქმედებებში ქართველ ქალთა ჩართულობა განაპირობა. საქართველოს თავისი პოზიციების გასამყარებლად მუდმივად ესაჭიროებოდა ბრძოლა და ქალებიც "ამაზონობას" მიმართავდნენო, - ამბობს იგი. ამაზონების არსებობა (იგივე ამორძალები), კაპანელის მიხედვით, საქართველოში თავადი მასიელის სახელს უკავშირდება. სწორედ მის ქალს მოუნდომებია ქალთა შეკრება და მტრის წინააღმდეგ გალაშქრება. კაპანელი ცნობილ მითს ეყრდნობა, რომ ისინი მარჯვენა ძუძუს იკვეთდნენ იარაღის უკეთ ხმარებისთვის, სასტიკად ამარცხებდნენ მტერს და განსაკუთრებული სიმამაცით გამოირჩეოდნენ. (კაპანელი, 1923, გვ.140)

ბრძოლის კულტი, კაპანელის მიხედვით, წარმავალობაზე ფიქრს აძლიერებს. სწორედ წარმავალობაზე ფიქრი იწვევს ქალის გაღმერთების სურვილს. კაპანელი ემხრობა წარმოდგენას იმის შესახებ, რომ საქართველოში ქალი გაღმერთებული იყო და არის. მას მაგალითისთვის თამარ მეფე და მისი ღვაწლი მოაქვს (კაპანელი, 1923, გვ.143-144). მისი აზრით, სწორედ ქალის კულტის არსებობის გამოა თამარ მეფე განდიდებული - მისი ასეთი

დაფასება თავისივე საქმეებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ქალის, როგორც მუდმივი ტრფიალის ობიექტის არსებობას უკავშირდება. თავად თამარ მეფეს არაფერი გაუკეთებია, იგი ხომ დავით აღმაშენებლის ნიჭითა და გიორგი მეფის იდეებით იკვალავდა გზას. თამარ მეფემ მხოლოდ ის მოახერხა, რომ „ამაზონობის“ სურვილი აღძრა ქართველ ქალებში, რამაც საბოლოოდ ისევ ოჯახს გამოუთხარა ძირი (კაპანელი, 1923, გვ. 150-151). მუდმივი ბრძოლის ისტორიამ განაპირობა ის, რომ ქართველი ქალი ამპარტავანი გახდა და ვერ შეითვისა ოჯახის მოწყობის აუცილებლობის იდეა. ბრძოლის კულტი და „ამაზონობა“ იმდენად გამჯდარი აქვს ქართველ ქალს სისხლში, რომ ოთარაანთ ქვრივს ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში დედობრივი სინაზე და ტკბილი სიტყვა დავიწყებია. მას ისიც კი არ შეუძლია, რომ შვილი დაიტიროს - საკუთარი ცივი მორალი არ აძლევს ამის საშუალებას; ბრძოლის კულტი სიყვარულსა და ვნებას უკლავს თინათინს, როცა ავთანდილისგან საგმირო საქმეებს მოითხოვს. შესაბამისად, კაპანელის თქმით, არ არსებობს ქალი, რომელიც ღირსეულად ატარებდეს ქალურობას (კაპანელი, 1923, გვ. 147).

ლიდიაც, კაპანელის მსგავსად, წარსულს უბრუნდება და პასუხობს, რომ ქალი, პირიქით, ზუსტადაც რომ ოჯახის სფეროსთან იყო ახლოს ყოველთვის. ამის დამადასტურებელია სხვადასხვა საოჯახო ნივთი, ტრადიციული ტანისამოსი, რომლებიც ქალების ხელსაქმის წყალობით შეიქმნა და მათივე მეშვეობით შენარჩუნდა დღევანდელობამდე (მეგრელიძე, უთარიღო, გვ.3-4). მეგრელიძის აზრით, ოთარაანთ ქვრივს სულ სხვა დატვირთვა აქვს ლიტერატურაში, ამაზე ლაპარაკი კი მას შორს წაიყვანს. ის, რომ „ამაზონობამ“ ჩაკლა მასში დედობრივი ინსტიქტები, ზედაპირული ნათქვამია. სწორედ ოთარაანთ ქვრივი არის ქართველი ქალის სახე, რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილით ზრდიდა შვილს. ლიდიას თქმით, კაპანელმა არ იცის, თუ რას ნიშნავს დედისთვის შვილის სიკვდილი, რამხელა ტანჯვაა დედის უთქმელობაში. ილია ჭავჭავაძემ სწორედ მაშინ დაბადა ოთარაანთ ქვრივი ქართულ ლიტერატურაში, როდესაც თავისი თანამედროვეები ეჭვის თვალით უცქერდნენ ქართველ ქალებს. ეს არ არის შემთხვევითი, ეს ლიდიასთვის პოლიტიკური საკითხია (მეგრელიძე, უთარიღო, გვ.11-12). მას მაგალითისთვის მოჰყავს დანიელ ჭონქაძის მოთხრობის გმირი ქალი, რომელიც თავის ბატონს აღარ ემორჩილება და შვილებთან ერთად ქალაქისკენ გაეშურება. ლიდიას თქმით, ეს არის იმის დასტური, რომ ქართველ ქალს დედობრივი სიყვარული და სწორი მოქალაქეობრივი თვითშეგნება აქვს. გლეხ ქალს სურს, რომ შვილები თავისუფლები იყვნენ. იგი დამოუკიდებლად იღებს ამ გადაწყვეტილებას. ეს, ზუსტადაც რომ, ქალის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და სიყვარულს გამოხატავს შვილებისადმი. განა არის ქართველი ქალი „სუსტი“ დედა, როგორც ამას კაპანელი აღნიშნავს? (მეგრელიძე, უთარიღო, გვ. 8-9)

ქართველი ქალი და ოჯახი

კაპანელი საუბრობს ბერძნულ ოჯახზე, სადაც დაღლილ ბერძენ კაცს ქალი ხვდებოდა სახლში. ოჯახიდან გასული ბერძენი კაცი კი „ჭვრეტდა სიამოვნებით გეტერის შვენიერი ტანის რხევას“ (კაპანელი, 1923, გვ. 149). ლიდია ოჯახის ასეთ მოწყობას ვერ უცქერს მოწონებით. მისთვის

არაა ოჯახი ის ადგილი, სადაც ქალი მხოლოდ კონკრეტული საქმიანობებით უნდა საქმდებოდეს და ოჯახურ წესრიგსა და სიმყუდროვეს თავისი ქმრისათვის უზრუნველყოფდეს. ლიდიასთვის სიყვარული არ არის ჰეტერებისგან დამთვრალ კაცზე ზრუნვა (მეგრელიძე, უთარიღო, გვ. 4).

კაპანელი ლიტერატურულ ნაწარმოებებს მიმართავს, რომ გვაჩვენოს, თუ როგორ ხდება სხვა ავტორების მიერ აღწერილ ნაწარმოებებში, რა როლები აკისრიათ ქალებს და როგორ სცემენ პატივს ოჯახს:

> *„ომეროსის ილიადაში ანდრომანას ჩვენ ვხედავთ როგორც ოჯახის ქალს.. თვითონაც ქსოვს, ოჯახს უვლის; როდესაც სამუდამოდ ეთხოვება თავის საყვარელ ქმარს, მაშინაც ხელში ბავში უკავია და ეჩქარება, ოჯახში რამე არ წახდესო. იმავე სურათს ჩვენ ვხედავთ ოდისეაში: პენელოპა უცდის 20 წლის განმავლობაში თავის ქმარს და სულ მუშაობს, სულ დაზგასთანაა" (კაპანელი, 1923, გვ.151)*

სულ სხვაგვარად ხდება, კაპანელის მიხედვით, ქართულ ლიტერატურაში, სადაც "ვეფხისტყაოსანის" პერსონაჟ თინათინს ოჯახი და ხელსაქმე კი არ აინტერესებს, არამედ მიჯნურობა. კაპანელი ასეთ ქალებს უწუნებს ოჯახის კულტის მივიწყებას და მისთვის ძირის გამოთხრას (1923, გვ. 153)

ლიდია ეწინააღმდეგება ოჯახის ისეთ გაგებას, როცა ბრძოლიდან დაბრუნებულ ქმარს ცოლი სიყვარულის ნაცვლად მოსვენებას სთავაზობს. სწორედ ამიტომ, მას ესმის თინათინის, როცა იგი ავთანდილს სიყვარულს ჰპირდება დაბრუნების შემთხვევაში და არაფერს ეუბნება ოჯახურ ყოფაზე. ქართველი ქალი ლიდიასათვის იმით გამოირჩევა, რომ მისთვის ოჯახური ცხოვრება სიყვარულთან ასოცირდება და არა წვრილმან საკითხებთან (მეგრელიძე, უთარიღო, გვ. 4).

ლიდია ამბობს, რომ ოჯახი არ არის მხოლოდ სახლი და იქ არსებული ავლადიდება. ოჯახის არსებობისთვის მთავარი „სულიერი კავშირი და თავისუფალი გრძნობაა“. სწორედ ამაზე უნდა საუბრობდეს კაპანელი და სვამდეს კითხვას, თუ რატომ აღარ სურს ქართველ ქალს ოჯახის შენარჩუნება. მეგრელიძეს ოჯახი არ მიაჩნია ურყევ ინსტიტუტად, ფიქრობს, რომ იგი იცვლება დროთა განმავლობაში და მისი ხასიათი მუდმივი განსჯის საგანი უნდა იყოს. (მეგრელიძე, უთარიღო, გვ. 13)

ქართველი ქალის სექსუალობა და ინდივიდუალობა

კონსტანტინე კაპანელი მხოლოდ წარსულ დროებასა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში ხედავს იმ ეროტიულობას, რომელიც ასე აკლიათ თანამედროვე ქალებს. აქ კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი საყვედური იჩენს თავს ქართველი ქალების მიმართ. მათ კაპანელი ადანაშაულებს სექსუალური ეროტიულობის არქონასა და სურვილის გაქრობაში. გარდა იმისა, რომ ქართველი ქალი განსაკუთრებული დედობრივი ინსტიქტებით უნდა გამოირჩეოდეს, ასევე მან არ უნდა დაკარგოს სექსუალობა, ეროტიულობა, ქალურობა. კაპანელი ქართველ ქალს

მხოლოდ ფიზიოლოგიურ არსებობას მიაწერს. იგი არსებობს ფიზიკურად, მაგრამ არ არსებობს, როგორც ქალი. იგი ქალის ძირითად მახასიათებლად ვნებასა და ინდივიდუალობას მიიჩნევს, რაც ქალს თანამედროვეობაში აღარ გააჩნია. კაპანელი წერს:

> *"ქართველი ქალი თავისი სულიერი წყობითა და მსოფლმხედველობით "მეშჩანკაა" ".*

კაპანელი "მეშჩანობას" მიიჩნევს ქართველი ქალის დამახასიათებელ თვისებად, რაც ნიშნავს იმას, რომ მას ვიწრო თვალსაწიერი აქვს, მეწვრილმანეა და ასეთივე ინტერესები გააჩნია ამ ცხოვრებაში. იგი საკუთარ ვნებას ტრადიციული საზოგადოების მოთხოვნებს უმორჩილებს (1923, გვ. 148-149).

ლიდიასთვის ბუნდოვანია ეს განცხადება იმდენად, რამდენადაც იგი მიიჩნევს, რომ ქართული კულტურა განსაზღვრავს ქალის ასეთად ყოფნას. ის, რომ ქართველი ქალი მოზღვავებული მგზნებარებით არ გამოირჩევა, იმის გამოა, რომ ქართულმა აზროვნებამ იგი ასეთად არ მიიღო. ქალის ისეთი ქცევა, როგორიც დასავლურ რომანებშია აღწერილი, ვერ იქნება მისაღები ქართული საზოგადოებისთვის. მეგრელიძეს მაგალითისთვის მოჰყავს დედოფალი რუსუდანი, რომელიც, როგორც კაპანელი უწოდებს, დასაჩუქრებული იყო „ფიზიოლოგიური ნორმალობით.“ თუმცა იგი მიუღებელია ქართველი ხალხისთვის. ქალი, როგორც დედა, როგორც გმირი - ეს ის მახასიათებლებია, რომელიც მუდმივ აღტაცებას იწვევს ქართულ კულტურაში და რომელიც ვერ თავსდება ეროტიულობასთან, შესაბამისად, ჯერ კაპანელმა უნდა გადახედოს საზოგადოებაში არსებულ წინასწარგანწყობებს (მეგრელიძე, უთარიღო, გვ. 5).

რაც შეეხება ინდივიდუალობას, ლიდია აღნიშნავს, რომ ქართველი ქალი უფრო და უფრო აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ისეთ ქალებს, რომელთაც საკუთარი ინდივიდუალობა გააჩნიათ, სხვადასხვა მოთხრობაშიც ვაწყდებით, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ქალებს სურთ თავად გაუძღვნენ საკუთარ ცხოვრებას (მეგრელიძე, უთარიღო, გვ.11).

ქართველი ქალი და საქართველო

კონსტანტინე კაპანელი თავის წიგნში ე.წ. ქართული ტიპის განსაზღვრისას ისევ ქალს უბრუნდება. იგი ქალს ადარებს ქვეყანას. ქართული ტემპერამენტი ქალური გამხდარა და ეს ავტორში პროტესტის განცდას იწვევს. ის, რაც ქართველ ქალს ახასიათებს დღევანდელობაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუღებელი და დასაგმობია. ქვეყანაც ქალივით ისტერიული გახდა; ქალივით მხოლოდ ოცნებებსა და იმედებშია ჩაფლული და მასაც არ გააჩნია რაიმე მიზანი, დანიშნულება და მომავალი. იგი ქალივით აფექტურად მოქმედებს; მასაც ქალივით უარი უთქვამს საკუთარ მოვალეობებზე და უნებისყოფო გამხდარა. კაპანელი საუბრობს ქვეყნის სიმრუშესა და როსკიპობაზე (კაპანელი, 1923, გვ. 162).

ქალის თვისებების მიწერით კაპანელი აკრიტიკებს ქართულ კულტურას და გამოკვეთს ქვეყნის პრობლემებს. კაპანელის მტკიცებით „ქართველმა ქალმა დაღუპა საქართველო“; ქართველმა ქალებმა შექმნეს გამოუსადეგარი, მოლაყბე, უმაქნისი თაობა. კონსტანტინე კაპანელის სათქმელი ნათელია - ქალი არის ის წერტილი, საიდანაც იწყება ქართული ყოფიერების რღვევა (კაპანელი, 1923. გვ. 148-149). კაპანელი, ფაქტობრივად, ქვეყნის დახასიათებით ქალს ახასიათებს, მის ნაკლოვანებებს გამოკვეთს. შედარებების საშუალებით, რომელსაც იგი იყენებს, ნათლად ჩანს მისი დამოკიდებულება ქალის მიმართ.

ლიდია მეგრელიძე უფრო ფართოდ უყურებს ამ საკითხს. შედეგზე კი არ საუბრობს, არამედ იმაზე, თუ რამ შეუწყო ხელი ამ შედეგების დადგომას; ერთმანეთისგან განყენებულად არ საუბრობს კონტექსტისა და ქალის შესახებ. იგი ყვება მე-19 საუკუნეში გლეხთა საკითხზე, როდესაც მათი უფლებრივი მდგომარეობა უფრო დამძიმდა. გაბატონებულმა კლასმა თავისი წოდება გამოიყენა იმისათვის, რომ გლეხის უღელი უფრო და უფრო დამძიმებულიყო. წარჩინებული ქალები და კაცები ფუფუნებაში ცხოვრობდნენ და მათთვის არ არსებობდა ზღვარი (მეგრელიძე, უთარიღო, გვ. 8). ქართველი გლეხი ქალი იყო ის, ვისზეც განსაკუთრებული სიმძიმით მოქმედებდა ბატონყმობის წნეხი. წვრილი მესაკუთრეობის განვითარება ასევე მძიმე აღმოჩნდა ქალისთვის. ბატონყმობის გაუქმებამ და გლეხის ზრუნვამ ახალი ტიპის ოჯახის შექმნაზე, ქალი კიდევ უფრო დაქვემდებარებულად აქცია. ქალი გახდა კერძო საკუთრების ერთ-ერთი ფორმა, რომლისგანაც გლეხი სარგებელს მოელოდა. ლიდია ამით იმ მნიშვნელოვანი საკითხის პრობლემურობას უსვამს ხაზს, როგორიცაა ქალის საკუთრებად განხილვა. მეგრელიძის მიხედვით, ქალს აღარ ჰყავს გვერდით თავისი თანასწორი კაცი. მას გლეხი კაცი ზემოდან უყურებს და ქალს აღარ შეუძლია საკუთარი გასაჭირი გაიზიაროს ვინმესთან. ლიდია სწორედ ამ ყოფას უკავშირებს ქალის გარდაქმნას და უჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა შეენარჩუნებინა ქალს თავისი ღირსება და ინდივიდუალობა ასეთ პირობებში, როცა უუფლებო იყო ოჯახში და კანონიც ჩაგრავდა (მეგრელიძე, უთარიღო, გვ.9-10).

ლიდია მეგრელიძე თავის მოხსენებაში ცდილობს, გამოკვეთოს კონსტანტინე კაპანელის ძირითადი სათქმელი და შემდეგ დაუპირისპიროს მას საკუთარი არგუმენტები. მისთვის მნიშვნელოვანია, რომ შეებრძოლოს ქართველი ქალის დემონიზების აშკარა მცდელობას, რაც მის ფემინისტურ ხედვაზე მიუთითებს. იგი არ ერიდება აკრიტიკოს ერთგვარი აზრის კულტივატორი, ფილოსოფოსი მამაკაცი და საკუთარი მოხსენებით ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოაჩენს იმ ნაღმებს, რომლებიც კონსტანტინე კაპანელის მსჯელობაშია.

*

ქალთა ისტორიის კვლევა და შექმნა რომ მნიშვნელოვანი პროცესია, ამის დასადასტურებლად ლიდია მეგრელიძის, როგორც ფემინისტი მოაზროვნის აღმოჩენაც კმარა. ლიდია მეგრელიძის ხმა არის იმის ნათელი მაგალითი, რომ ქალები მხოლოდ კერის სითბოს შენარჩუნებით არ იყვნენ დაკავებულნი ჩვენს ისტორიულ წარსულში. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქალური

კულტურა მათ მუდმივად სთავაზობდა მზა წარმოდგენებს ურთიერთობებისა და როლების შესახებ, ისინი მაინც ახერხებდნენ, ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხმა აემაღლებინათ ჩაგვრის წინააღმდეგ, ებრძოლათ უფლებებისთვის.

ლიდია მეგრელიძის მოხსენება კონსტანტინე კაპანელის ნაშრომის შესახებ საყურადღებოა რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, იგი საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ მნიშვნელოვან ფემინისტურ ნააზრევს, რომლის შესახებაც აქამდე არ ვიცოდით. მეორეც, მოხსენება არის პროტესტის ფორმა პატრიარქალური კულტურის წინააღმდეგ - ლიდია ვერ ახერხებს, რომ დადუმდეს და პასუხი არ გასცეს დომინანტური პოზიციიდან მოსაუბრე განათლებულ, პრივილეგირებულ მამაკაცს და კითხვის ქვეშ არ დააყენოს მისი ნააზრევი ქალთა საკითხის შესახებ. მეგრელიძე ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე საუბრობს და ამით ცხადყოფს, რომ რეალურად, კაპანელი მხოლოდ ქალის მოვალეობებზე საუბრით შემოიფარგლება და ბრმაა მათი უუფლებობისადმი.

ლიდია მეგრელიძის სოლიდარობის გრძნობა და კონტექსტის შესაბამისად აღქმის შესაძლებლობა განაპირობებს მისი მოსაზრებების მნიშვნელოვნებასა და პოლიტიკურ განცხადებებად განხილვას დღევანდელობაშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კაპანელი, კ. *სული და იდეა* (1923). ბათუმი: გამომცემელი ალ. ესაკია.
2. კოდუა, ე. (რედ) *ფილოსოფიური შრომები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. მეგრელიძე, ლ. (1915), *ქართველ ქალთა მდგომარეობა საქართველოში,* „ახალი კვალი“. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, ლიდია მეგრელიძის არქივი #24068/5.
4. სურგულაძე, ა. *საქართველოს ისტორია 1783-1990.* თბილისი: საქართველოს მაცნე
5. მეგრელიძე, ლ. (1968), *ალიონის ვარსკვლავი - წინასიტყვაობა,* თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
6. მეგრელიძე, ლ. (1956), *ლიდია ისმაილის ასული მეგრელიძის ავტობიოგრაფია,* გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, ლიდია მეგრელიძის არქივი # 22652 – 6
7. მეგრელიძე, ლ. (თარიღი უცნობია), *ქართველი ქალი ცხოვრებაში და ლიტერატურაში,* გ.ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, ლიდია მეგრელიძის არქივი, #24070.
8. მელაშვილი, თ. (2013). *კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები.* თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო
9. როსკიპი (დეფინიცია), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, გადამოწმებულია 03.02.16 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=35866

10. ტყეშელაშვილი, ნ (1922). *კავკასიელ ქალთა ბრძოლა სწორუფლებისათვის რევოლუციონურ კულტურულ ფრონტზე,* გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, ნინო ტყეშელაშვილის არქივი, # 9503-6
11. ჯავახიშვილი, მ. და ხომერიკი, ლ (2005). *ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში,* თბილისი: ღია საზოგადოება - საქართველო
12. Lerner, G. *The Creation of Feminist Consciousness: From the Midle Ages ro Eighty-Seventeen.* New York: Oxford University Press. http://quod.lib.umich.edu/cgi/t/text/text გადამოწმებულია 03.02.16.
13. Scott, J.W. (1986) *Gender: A Useful Category of Historical Analysis,* American Historycal Association, Vol 91, #5. Pp. 1053-1075